



N03 მარტი, 2010

სოციალური მომსახურების სააგენტო გათავაზობს, ყოველთვიურ საინფორმაციო ბიულეტენს სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობის და საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირების მიზნით

2010 წლის მარტის საინფორმაციო ბიულეტენი

სადაზღვევო ვაუჩერი 160 967-მა მოქალაქემ მიიღო



საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის # 218 დადგენილების საფუძველზე, სოციალური მომსახურების სააგენტო 2010 წლიდან ახორციელებს სადაზღვევო ვაუჩერების დარიგებას სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების, სახალხო მხატვრების, სახალხო არტისტების, რუსთაველის პრემიის ლაურეატების, კომპაქტურ ჩასახლებებში მყოფი დევნილების და მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის.

2010 წლის 1 თებერვლისთვის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში 808 874 საქართველოს მოქალაქე იყო დაზღვეული. 2010 წლის 1 თებერვლიდან დღემდე საქართველოს მასშტაბით სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული განყოფილებებმა სადაზღვევო ვაუჩერი კიდევ 51 929-მა ოჯახს (160 967 მოქალაქე) გადასცა. აღნიშნული ვაუჩერები იმ ადამიანებმა და ოჯახებმა მიიღეს, რომელთა სარეიტინგო ქულა 2009 წლის 1 დეკემბრამდე მიენიჭათ და 70000-ს არ აღემატება.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის #218 დადგენილების საფუძველზე, ის ადამიანები, რომლებიც უკვე დაზღვეულები არიან სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიებში მომავალშიც ისარგებლებენ მათი მომსახურებით. 2010 წლამდე დაზღვეულთა სადაზღვევო პოლისები ავტომატურად გაგრძელდება სამი წლის ვადით. ის მოქალაქეები, რომლებმაც სარეიტინგო ქულა 2009 წლის 1 დეკემბრის შემდეგ მიიღეს სადაზღვევო პოლისს მომდევნო თვეებში აიღებენ.

ფოტოში სოციალური მომსახურების სააგენტოს განახლებული ოფისი გაიხსნა



2010 წლის 24 მარტს ქ. ფოთში, სოციალური მომსახურების სააგენტოს ფოთის რაიონული განყოფილების განახლებული ოფისი გაიხსნა.

სოციალური მომსახურების სააგენტოს განახლებულ ცენტრში პენსიონერები, სოციალურად დაუცველი მოქალაქეები ადგილზე შეძლებენ ყველა იმ მომსახურების მიღებას, რასაც სოციალური მომსახურების სააგენტო უზრუნველყოფს. მოსახლეობას კომფორტულ გარემოში მოემსახურებიან. ოფისი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და ავეჯით. ცენტრი ისეა დაგეგმილი, რომ

ხანდაზმულებმა თავი კომფორტულად იგრძნონ, ასევე შექმნილია ყველა პირობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

ერთიანი სამთავრობო ქსელი და არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიები უზრუნველყოფს იმას, რომ მოქალაქეს საშუალება მიეცემა ადგილზევე მიიღოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ პროგრამებზე, სახელმწიფო გასაცემლებზე.

2010 წლის მარტის მონაცემებით, ფოთის რაიონში სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 4 333 ოჯახია (14 109 ადამიანი) რეგისტრირებული. ყოველთვიურ საარსებო შემწეობას იღებს 477 ოჯახი (1 288 ადამიანი). მრტის თვეში მათზე თანხობრივად გაიცა 34 164 ლარი. ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისით კი 1 759 ოჯახი (5 504 ადამიანი) სარგებლობს.

დღევანდელი მონაცემებით, ფოთში 8 780 პენსიონერია რეგისტრირებული.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ფოთის რაიონული განყოფილების გარემონტებული და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ოფისი 26 მაისის ქ. # 7-ში მდებარეობს.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ფოთის საქალაქო განყოფილების ოფისი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ალექსანდრე კვიციანილი და სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორმა ანდრია ურუშაძემ გახსნა.

სოციალური მომსახურების სააგენტოს სემინარი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ ბაკურიანში



2010 წლის 10, 11 და 12 მარტს, ბაკურიანში, სოციალური მომსახურების სააგენტოს ინიციატივით, ბავშვზე ზრუნვის სამსახურისა და ევროკავშირის ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ხელშეწყობის პროექტის ბავშვზე ზრუნვის ტრენინგების ექსპერტებმა ერთობლივი სემინარი ჩაატარეს სოციალური მომსახურების სააგენტოს სამცხე-ჯავახეთისა და გურიის რეგიონის თანამშრომლებისთვის. სემინარი მიზნად ისახავდა სააგენტოს თანამშრომლებისთვის საკანონმდებლო ცვლილებებისა და 2010 წლის "ბავშვზე ზრუნვისა" და

"შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის პროგრამის" გაცნობას.

სემინარის მსვლელობისას განხილულ იქნა ბავშვზე ზრუნვისა და მეურვეობა-მზრუნველობის სფეროში არსებული პროცედურები, ახალი მიდგომები და სამუშაო ფორმები. ასევე, მონაწილეებმა შეაჯამეს 2009 წლის მუშაობის შედეგები და ისაუბრეს იმ პრობლემებსა და სირთულეებზე, რომელიც სააგენტოს, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს 2009 წლის მუშაობის პროცესში გამოვლინდა.

სემინარში მონაწილეობა მიიღეს სოციალური მომსახურების სააგენტოს რეგიონული საკოორდინაციო ცენტრების ხელმძღვანელებმა, მოადგილეებმა, რაიონული განყოფილებების ხელმძღვანელებმა, მთავარმა სპეციალისტებმა, უფროსმა სოციალურმა მუშაკებმა და სოციალურმა მუშაკებმა.


სოციალური მომსახურების სააგენტომ 8 მარტი ყველაზე ხანდაზმულ ბენეფიციარს მიულოცა



თბილისში მცხოვრებ 103 წლის მარიამ მახაშვილს სოციალური მომსახურების სააგენტოს წამომადგენლებმა 8 მარტი მიულოცეს. სარგამარტო საჩუქარი, ყვავილები და ტკბილეული, მოხუც ქალბატონს სააგენტოს დირექტორის მოადგილემ ბატონმა მორის წამალაშვილმა პირადად გადასცა. მარიამ მახაშვილი ორ შვილთან ერთად უკვე ორი წელია სოციალური მომსახურების სააგენტოს ბენეფიციარად ირიცხება.

სოციალური მომსახურების სააგენტო კიდევ ერთხელ ულოცავს ქალბატონებს 8 მარტს.

სოციალური მომსახურების სააგენტოს სემინარი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ თელავში



2010 წლის 6, 7 და 8 მარტს კახეთში, ქ. თელავში, სოციალური მომსახურების სააგენტოს ინიციატივით, ბავშვზე ზრუნვის სამსახურისა და ევროკავშირის ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ხელშეწყობის პროექტის ბავშვზე ზრუნვის ტრენინგების ექსპერტებმა ერთობლივი სემინარი ჩაატარეს. სემინარი მიზნად ისახავდა სააგენტოს თანამშრომლებისთვის საკანონმდებლო ცვლილებებისა და 2010 წლის "ბავშვზე ზრუნვისა" და "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ

ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის პროგრამის" გაცნობას.

სემინარის მსვლელობისას განხილულ იქნა ბავშვზე ზრუნვისა და მეურვეობა-მზრუნველობის სფეროში არსებული პროცედურები, ახალი მიდგომები და სამუშაო ფორმები. ასევე, მონაწილეებმა შეაჯამეს 2009 წლის მუშაობის შედეგები და ისაუბრეს იმ პრობლემებსა და სირთულეებზე, რომელიც სააგენტოს, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს 2009 წლის მუშაობის პროცესში გამოვლინდა.

სემინარში მონაწილეობა მიიღეს სოციალური მომსახურების სააგენტოს რეგიონული საკოორდინაციო ცენტრების ხელმძღვანელებმა, მოადგილეებმა, რაიონული განყოფილებების ხელმძღვანელებმა, თავარმა სპეციალისტებმა, უფროსმა სოციალურმა მუშაკებმა და სოციალურმა მუშაკებმა.

სოციალური მომსახურების სააგენტომ დედის დღე სოფელ ნაგომარში მცხოვრებ 14 შვილიან დედას მიულოცა



სოციალური მომსახურების სააგენტომ 2010 წლის 3 მარტს ოზურგეთის რაიონის სოფელ ნაგომარში მცხოვრებ 12 შვილიან დედას, ელენე მუკბანიანს დედის დღე მიულოცა. ოჯახს დედის დღისთვის საჩუქარი, ყვავილები და ტკბილეული, სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის რეგიონული საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელმა ვასილ ხომერიკმა პირადად გადასცა. მუკბანიანების ოჯახი სამი წელია სოციალური მომსახურების

სააგენტოს ბენეფიციარად ირიცხება.

სოციალური მომსახურების სააგენტო კიდევ ერთხელ ულოცავს ქალბატონებს დედის დღეს.

შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის პროცედურები გამარტივდა



2010 წლის 1 მარტიდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“. განხორციელდა შვილად აყვანის და მინდობით აღზრდის ურთიერთობების ერთ ნორმატიულ აქტში გაერთიანება, გამარტივდა მთელი რიგი პროცედურები.

კერძოდ, ცვლილებები შეეხო მშვილბეულ კანდიდატთა რეგისტრაციას. შვილად აყვანის მსურველ პირს აღარ ევალება შვილად აყვანისთვის საჭირო დოკუმენტების წარდგენა რეგისტრაციისას სოციალური

მომსაურების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში. მშვილბელი აღნიშნულ დოკუმენტებს წარადგენს უშალოდ ბავშვის შეთავაზებისას.

ასევე, გამარტივდა ბავშვის გასაშვილებელი სტატუსის დადგენის პროცედურები: მშობელი გაშვილებაზე თანხმობის მხოლოდ ერთ ფორმას ავსებს.

დაიხვეწა ბავშვის მიტოვებულად აღიარების პროცედურები.

საკანონმდებლო ცვლილებები შეეხო მინდობით აღზრდის საკითხებსაც. გამარტივდა და დაიხვეწა მიმღებ მშობლად (დედობილად/მამობილად) რეგისტრაციის პროცედურები. პირი, რომელსაც სურს დარეგისტრირდეს მიმღებ მშობლად, ავსებს განაცხადის ფორმას. მიმღებ ოჯახად/პირად დარეგისტრირების მსურველი საჭირო დოკუმენტებს წარადგენს მხოლოდ შვილობილობას დაქვემდებარებული ბავშვის შეთავაზების შემთხვევაში.

შემოღებულ იქნა გადაუდებელი მინდობით აღზრდის ინსტიტუტი:

გადაუდებელი მინდობით აღზრდა - მინდობით აღზრდა ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დადგენილი ახალი წესით მოხდება. ამისთვის მინდობით აღსაზრდელისა და მიმღები ოჯახის თავსებადობის შეფასება არ იქნება საჭირო;

შვილობილად აყვანის (მინდობით აღზრდის) ანაზღაურება განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

ჯანმრთელი ბავშვისათვის - თვეში 200 ლარით;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისათვის - თვეში 300 ლარით.

გადაუდებელი მინდობით აღზრდა (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის) - ერთი კალენდარული დღისთვის 12,50 ლარით.